ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გარემოს დაცვის კომისიის სხდომის

ოქმი №51

08.11.2019 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

13:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

გარემოს დაცვის კომისიის წევრები: ერეკლე კუხიანიძე (კომისიის თავმჯდომარე), გიორგი ტყემალაძე, თარაშ შურღაია, ლევან ჯაფარიძე, ლევან ჟორჟოლიანი, გიორგი დოხტურიშვილი, ლევან ხაბეიშვილი, ელენე ოზაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

საკრებულოს წევრები:

1. **რევაზ სოხაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
2. **თევდორე ისაკაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
3. **ბექა დავითულიანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
4. **დავით უთმელიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
5. **დავით ჭელიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
6. **ვახტანგ შაქარიშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
7. **ჯაბა ჯიშკარიანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
8. **ლილე ლიპარტელიანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
9. **ნიკოლოზ ვაჩეიშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;

მოწვეული სტუმრები:

1. **გაიოზ თალაკვაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი;
2. **გიორგი ებანოიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი.

სხდომის გახსნამდე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა და ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ ბ-ნმა რევაზ სოხაძემ დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა და აცნობა, რომ მიმდინარე სხდომა წარიმართება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის სრული დაცვით (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილების მუხლი 30) გარემოს დაცვის, ასევე, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიების ერთობლივი სხდომის ფორმატში.

ბ-ნი რევაზ სოხაძის სიტყვით გამოსვლის შემდეგ, გარემოს დაცვის კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა: ერეკლე კუხიანიძე (კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2019 წლის 31 ოქტომბრის №12-0319304101-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/მომხსენებელი: გაიოზ თალაკვაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საქალაქო სამსახურის უფროსი/

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2019 წლის **4 ნოემბრის №12-031930817-03** წერილით წარმოდგენილი:

   ა) „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ - ოქმს ერთვის

   ბ) „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ. - ოქმს ერთვის

/მომხსენებელი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი/

3. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2019 წლის 11 ოქტომბრის №12-031929093-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/მომხსენებელი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი/

4. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18

დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2019 წლის 1-ლი ნოემბრის №12-03193056 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი/

5. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2019 წლის 5 ნოემბრის №12-031930918 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი/

6. **მიმდინარე საკითხი:** - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2019 წლის 7 ნოემბრის №12-031931140) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი/

სხდომის თავმჯდომარე ბ-ნი ერეკლე კუხიანიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს დღის წესრიგის პირველი საკითხი - „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2019 წლის 31 ოქტომბრის №12-0319304101-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის პირველი საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა გ. თალაკვაძემ.

მომხსენებლის (გ. თალაკვაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის მოცულობა იზრდება 25 180 00 (ოცდახუთი მილიონ ას ოთხმოცი ათასი) ლარით და განისაზღვრება 1 100 450 800 (ერთი მილიარდ ასი მილიონ ოთხას ორმოცდაათი ათას რვაასი) ლარით. ცვლილება განპირობებულია „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონში მიმდინარე წლის 17 ოქტომბერს განხორციელებული ცვლილებებით, რომლის ფარგლებშიც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დამატებით უნდა გამოიყოს ტრანსფერი 100 000 000 (ასი მილიონი) ლარის ოდენობით 2019 წლის ბიუჯეტში ასახვის მიზნით. გარდა ამისა, შემოსულობების ნაწილში ვალდებულებების ზრდის გეგმით გათვალისწინებულია 74 820 000 (სამოცდათოთხმეტი მილიონ რვაას ოცი ათასი) ლარით შემცირება.

ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის, რაიონის გამგეობების და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების წინადადებები დამატებითი მოთხოვნების შესახებ, რაც ხორციელდება მიმდინარე საბიუჯეტო წლის პერიოდში ჩატარებული ტენდერებიდან მიღებული ეკონომიისა და სხვადასხვა პროგრამაში/ქვეპროგრამაში გათვალისწინებული ღონისძიებათა ღირებულებების დაზუსტებით გამოთავისუფლებული რესურსების ხარჯზე.

ბიუჯეტის მოცულობის ზრდისა და მოძიებული რესურსის გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებსა და ქვეპროგრამებზე, მათ შორის:

იზრდება:

გზების მოვლა-შეკეთება გლდანის რაიონში (კოდი: 01 01 08) – 187 900 (ას ოთხმოცდაშვიდი ათას ცხრაასი) ლარით;

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი: 01 02 01) 5 606 500 (ხუთი მილიონ ექვსას ექვსი ათას ხუთასი) ლარით;

საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია (კოდი: 01 02 02) – 31 162 200 (ოცდათერმეტი მილიონ ას სამოცდაორი ათას ორასი) ლარით;

ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება (კოდი: 02 02) – 450 000 (ოთხას ორმოცდაათი ათასი) ლარით;

გამწვანების ღონისძიებები (კოდი: 03 01) – 1 020 200 (ერთი მილიონ ოცი ათას ორასი) ლარით;

დასუფთავების ღონისძიებები (კოდი: 03 02) – 2 200 000 (ორი მილიონ ორასი ათასი) ლარით;

დაავადებათა სკრინინგი (კოდი: 06 01 02) – 400 000 (ოთხასი ათასი) ლარით;

აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია (კოდი: 06 01 06) – 275 000 (ორას სამოცდათხუთმეტი ათასი) ლარით;

ტრანსპლანტაცია (კოდი: 06 01 13) – 1 300 000 (ერთი მილიონ სამასი ათასი) ლარით;

სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისთვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება (კოდი: 06 02 02) – 495 000 (ოთხას ოთხმოცდათხუთმეტი ათასი) ლარით;

სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარება (კოდი: 06 02 09) – 500 000 (ხუთასი ათასი) ლარით;

სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი: 06 02 18 07) – 26 100 (ოცდაექვსი ათას ასი) ლარით;

სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი: 06 02 18 15) – 75 000 (სამოცდათხუთმეტი ათასი) ლარით;

სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი: 06 02 18 16) – 282 000 (ორას ოთხმოცდაორი ათასი) ლარით;

საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელება (კოდი: 07 02 04) – 240 000 (ორას ორმოცი ათასი) ლარით;

კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები კრწანისის რაიონში (08 11 09) – 25 000 (ოცდახუთი ათასი) ლარით;

სარეზერვო ფონდი (კოდი: 10 22) – 1 500 000 (ერთი მილიონ ხუთასი ათასი) ლარით.

მცირდება:

გზების მოვლა-შეკეთება ვაკის რაიონში (კოდი: 01 01 12) – 11 500 (თერთმეტი ათას ხუთასი) ლარით;

გზების მოვლა-შეკეთება საბურთალოს რაიონში (კოდი: 01 01 13) – 20 000 (ოცი ათასი) ლარით;

გზების მოვლა-შეკეთება მთაწმინდის რაიონში (კოდი: 01 01 17) – 143 000 (ას ორმოცდასამი ათასი) ლარით;

საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია (კოდი: 02 01) – 11 850 000 (თერთმეტი მილიონ რვაას ორმოცდაათი ათასი) ლარით;

კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებები (კოდი: 02 09 10) – 160 000 (ას სამოცი თასი) ლარით;

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა მთაწმინდის რაიონში (კოდი: 05 01 17) – 140 000 (ას ორმოცი ათასი) ლარით;

ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება (კოდი: 06 01 07) – 600 000 (ექვსასი ათასი) ლარით;

"C" ჰეპატიტის დიაგნოსტიკა (კოდი: 06 01 12) – 55 000 (ორმოცდათხუთმეტი ათასი) ლარით;

სერვის ცენტრებში ბარათების დამზადება (ინიციალიზაცია) (კოდი: 06 02 06 04) – 20 000 (ოცი ათასი) ლარით;

თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მოვლა-პატრონობა (კოდი: 06 02 21) 100 000 (ასი ათასი) ლარით;

უფასო სასადილოებით მომსახურება მთაწმინდის რაიონში (კოდი: 06 02 14 15) – 162 000 (ას სამოცდაორი ათასი) ლარით;

დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები კრწანისის რაიონში (კოდი: 06 02 16 15) – 100 000 (ასი ათასი) ლარით;

დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები მთაწმინდის რაიონში (კოდი: 06 02 16 16) – 120 000 (ას ოცი ათასი) ლარით;

წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება მთაწმინდის რაიონში (კოდი: 06 02 20 02) – 45 000 (ორმოცდახუთი ათასი) ლარით;

სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უსინათლო პირების დახმარება (კოდი: 06 02 24) – 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარით;

სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარება (06 02 25) – 145 000 (ას ორმოცდახუთი ათასი) ლარით;

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა (კოდი: 07 01 02) 4 318 000 (ოთხი მილიონ სამას თვრამეტი ათასი) ლარით;

საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობა (კოდი: 07 02 03) – 37 000 (ოცდაჩვიდმეტი ათასი) ლარით;

ფინანსთა სამინისტროსგან აღებული სესხის მომსახურება (ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)) – 2 007 900 (ორი მილიონ შვიდი ათას ცხრაასი) ლარით.

გარდა ამისა, იზრდება ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდის მომუშავეთა რიცხოვნობა 4 ერთეულით და სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მომუშავეთა რიცხოვნობა 9 ერთეულით, ხოლო ა(ა)იპ მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის მომუშავეთა რიცხოვნობა მცირდება 5 ერთეულით. შესაბამისად, ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა ჯამურად გაიზარდა 8 ერთეულით.

მომხსენებელმა (გ. თალაკვაძე) ასევე ისაუბრა საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშების, გადასახადების, გრანტების, სხვა შემოსავლების, არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესახებ.

წარმოდგენილი ინფორმაციის მოსმენის შემდეგ, სხდომა გაგრძელდა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

შეკითხვები დასვეს:

ბ-ნმა ლ. ხაბეიშვილმა - სარეზერვო ფონდისთვის ასიგნებების გაზრდის გამომწვევი მიზეზებისა და სოციალური პროგრამების დაფინანსების შემცირების შესახებ.

ქ-ნმა ლ. ლიპარტელიანმა - მთაწმინდის რაიონში სოციალური პროგრამების, მათ შორის უფასო სასადილოებით მომსახურების დაფინანსების შემცირების გამომწვევი მიზეზების თაობაზე.

ბ-ნმა ნ. ვაჩეიშვილმა - წლის ბოლოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებების გამომწვევი მიზეზების შესახებ. კერძოდ, აღნიშნული ცვლილებები განპირობებულია ბიუჯეტის არასწორი დაგეგმვით თუ საბიუჯეტო სახსრების არაჯეროვნად ათვისებით.

დასმულ შეკითხვებს პასუხი გასცა ბ-ნმა გ. თალაკვაძემ, რომლის განმარტებით, ძირითადად, გარკვეულ პროგრამებში/ქვეპროგრამებში დაფინანსების კლება განპირობებულია სხვადასხვა პროგრამაში/ქვეპროგრამაში გათვალისწინებული ღონისძიებათა ღირებულებების დაზუსტებით, არშემდგარი ტენდერებისა თუ გამოცხადებული ტენდერებისას გაწეული ეკონომიით გამოთავისუფლებული რესურსების ხარჯზე.

სარეზერვო ფონდის ასიგნებების გაზრდა განპირობებულია ბოლო პერიოდში მომხდარი ბუნებრივი აირის გაჟონვით აფეთქებებისას დაზარალებული მოსახლეობისთვის კომპენსაციის გაცემის მიზნით. გამოძიების დასრულებისა და დამნაშავე პირების გამოვლენის შემდეგ, აუცილებლად დადგება რეგრესიით თანხის დაბრუნების საკითხი. ამ ეტაპზე კი დაზარალებულ მოსახლეობას მუნიციპალიტეტი სათანადო დახმარებას გაუწევს სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხით.

რაც შეეხება ბიუჯეტის დაგეგმვას, ბ-ნმა გ. თალაკვაძემ აღნიშნა, რომ ბიუჯეტი სწორად დაიგეგმა პრიორიტეტების მიხედვით, მაგრამ წლის განმავლობაში ხდება მისი დაზუსტება და შესაძლოა, წლის ბოლომდე კიდევ ერთხელ გახდეს საჭირო 2019 წლის ბიუჯეტში ცვლილების შეტანა, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ საბიუჯეტო სახსრები არაჯეროვნად არის ათვისებული.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციის მოსმენის შემდეგ, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ სხვა შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ კენჭისყრაზე დასვა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6
წინააღმდეგი - 1
თავი შეიკავა - 1

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

დადებითად შეფასდეს და რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2019 წლის 31 ოქტომბრის **№12-0319304101-03** წერილით წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეორე საკითხი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2019 წლის **4 ნოემბრის №12-031930817-03** წერილით წარმოდგენილი „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებების პროექტების შესახებ

სხდომის დღის წესრიგის მეორე საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა გიორგი ებანოიძემ.

მომხსენებლის (გ. ებანოიძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად:

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილებების შეტანა განპირობებულია დედაქალაქის არსებული ურბანული განვითარებისთვის ახალი განაშენიანების რეგულირების პრინციპების დადგენით.

წარმოდგენილი ცვლილებებით ზუსტდება:

- განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის „გაშუალებებასთან“ დაკავშირებით არსებული რეგულაცია;

- ხაზობრივ ნაგებობებთან დაკავშირებული რეგულაცია.

- სარეკრეაციო ზონა 1-ის, სატრანსპორტო ზონა 1-ისა და სატრანსპორტო ზონა 2-ის რეგულაციები. სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) შესაძლებელია გავრცელდეს განაშენიანებული ტერიტორიების გარეთ არსებულ ტერიტორიებზე, ხოლო სატრანსპორტო ზონა 1-ისა (ტზ-1) და სატრანსპორტო ზონა 2-ისთვის (ტზ-1) დასაშვები ხდება მიწისქვეშა ავტოსადგომები.

გარდა ამისა, ზუსტდება განაშენიანების რეგულირების წესების მე-19 მუხლით გათვალისწინებული რეგულაცია და ტერმინს „ჩამოყალიბებული განაშენიანება“ ანაცვლებს „არსებული განაშენიანება“.

ასევე, მონუმენტური, სახვითი ხელოვნების ძეგლები (ქანდაკება), ობელისკი, მემორიალური დაფა და სხვა მემორიალური ობიექტი გახდება ყველა ქვეზონისთვის დასაშვები სახეობა, თუ აღნიშნულის განთავსება არ ეწინააღმდეგება ზონის ფუნქციონირებასა და ტერიტორიის ერთიან ქალაქგეგმარებით ხასიათს.

წარმოდგენილი ცვლილებით, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების მე-9 მუხლს დაემატება 9^5 და 9^6 პუნქტები, რომლის მიხედვითაც, თუ განაშენიანების რეგულირების გეგმაში ან გეგმარებით დავალებაში ცვლილების შეტანა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი ინტერესების დაცვას, ადმინისტრაციულ წარმოებაზე უფლებამოსილ სტრუქტურულ ერთეულს უფლება აქვს გადაწყვეტილება მიიღოს დაინტერესებული პირების მონაწილეობის გარეშე. ასევე, აღნიშნული პუნქტებით დადგენილია თუ რა ჩაითვლება საზოგადოებრივი ინტერესების დაცვად.

აზრი გამოთქვეს:

ბ-ნმა ლ. ჟორჟოლიანმა - „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების მე-9 მუხლისთვის 9^5 და 9^6 პუნქტების დამატებასთან დაკავშირებით. ბ-ნი ლ. ჟორჟოლიანის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული კომისიის 2019 წლის 8 ნოემბრის სხდომაზეც აღნიშნა, რომ

ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებული პირების მონაწილეობის გარეშე გადაწყვეტილების მიღება არ შეესაბამება კანონით დადგენილ ნორმებს და ასეთ შემთხვევაში, ცვლილება უნდა განხორციელდეს კანონის ძალის მქონე აქტით და არა კანონქვემდებარე აქტით. შესაბამისად, ამ ეტაპზე, მიზანშეწონილად მიაჩნია, საკითხი („ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თობაზე დადგენილების პროექტი) საკრებულოს სხდომაზე გატანილ იქნას მე-9 მუხლისთვის 9^5 და 9^6 პუნქტების დამატების გარეშე.

მომხსენებლის (გ. ებანოიძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად:

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილებები ხორციელდება იმ უზუსტობების აღმოსაფხვრელად, რომელიც გენერალური გეგმის იმპლემენტაციის პროცესში გამოვლინდა, კერძოდ მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით განსაზღვრულია შემდეგი რიგის ღონისძიებები - არეალები („A”, “A1”, “B”, “M” “MB”), სადაც სამშენებლო განვითარება შეზღუდულია, თუმცა გამონაკლისები დაშვებულია. აღნიშნულ გამონაკლისებში ასევე უნდა იქნას გათვალისწინებული გენერალური გეგმის მიღებით ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლების აღდგენის მიზნით მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ცვლილების შეტანის შესაძლებლობა, ვინაიდან ამგვარი მესაკუთრეების მრავალი განცხადება არის მიღებული უფლებამოსილი ორგანოს წარმოებაში და „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილების დანართიც (რეკომენდაციები) ითვალისწინებს მესაკუთრეთა უფლებების აღდგენას მიწის ნაკვეთებისთვის ფუნქციური ზონის დაბრუნებით, ამდენად ამგვარი ცვლილების დაშვების შესაძლებლობა უნდა აისახოს ნორმატიულ დონეზე.

ასევე, იცვლება „დიღმის ჭალების“ მიმდებარე არეალის რეგლამენტი, კერძოდ, გარდა თემატურ რუკაზე მონიშნული „A” განაშენიანების რეგულირების გეგმების არეალისა, მიწის ნაკვეთების სამშენებლოდ განვითარება შესაძლებელი იქნება მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით განსაზღვრული ფუნქციური ზონირების ან განაშენიანების რეგულირების გეგმების შესაბამისად (ამავე განაშენიანების რეგულირების გეგმებით განსაზღვრული ფუნქციური ზონირებით)“.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციის მოსმენის შემდეგ, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ სხვა შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ კენჭისყრაზე დასვა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2019 წლის **4 ნოემბრის №12-031930817-03 წერილით** წარმოდგენილი „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების

გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის, ასევე, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 2 დადგენილების პროექტი) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანის“ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 2

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

დადებითად შეფასდეს და რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2019 წლის **4 ნოემბრის №12-031930817-03 წერილით** წარმოდგენილი „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის, ასევე, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 2 დადგენილების პროექტი) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მესამე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის

შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2019 წლის 11 ოქტომბრის №12-031929093-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის მესამე საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა გ. ებანოიძემ.

მომხსენებლის (გ. ებანოიძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული (მათ შორის, ტექნიკური ხარვეზებით გამოწვეული) ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 9 ოქტომბრის №19.1063.1370 განკარგულებით და დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ" საინფორმაციო მასალის (პროექტის), ასევე, განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 1 წინადადება - №01192692998-67).

განმარტებითი ბარათის „ა" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „1" პუნქტი) - **№01192692998-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, ხარაგაულის ჩიხი №8-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.01.018.028) ნაწილზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) ცვლილება. წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) არსებობა წარმოადგენს „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის ხარვეზს. სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) ვრცელდება (გადასულია) საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთზე და მასზე არსებულ შენობა-ნაგებობაზე. ვინაიდან, აღნიშნულ ტერიტორიას ფაქტობრივი მდგომარეობით არ გააჩნია სატრანსპორტო ფუნქცია, ფუნქციური ზონის ცვლილებით გასწორდება ხარვეზი და შესაბამისობაში მოვა არსებულ (ფაქტობრივ) მდგომარეობასთან.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ინიციატივით, №01.17.01.018.028 საკადასტრო ერთეულის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.01.018.014) ნაწილზე და სამხრეთ-დასავლეთით მდებარე დაურეგისტრირებელ სივრცეზე ხორციელდება სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) ცვლილება (ცვლილების ფართობი: 38 კვ.მ.). აღნიშნულიც წარმოადგენს „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული

ნაწილის - რუკის ხარვეზს და ფუნქციური ზონის ცვლილებით ხდება ხარვეზის გასწორება და ფაქტობრივ მდგომარეობასთან შესაბამისობაში მოყვანა. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ხარაგაულის ჩიხი №8-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.01.018.028) ნაწილზე, ასევე მის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.01.018.014) ნაწილზე და სამხრეთ-დასავლეთით მდებარე დაურეგისტრირებელ სივრცეზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) ცვლილება, არსებული ხარვეზის გასწორების მიზნით, მიზანშეწონილია (ცვლილების საერთო ფართობი: 157 კვ.მ.).

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, განსახილველ საკითხთან (განაცხადთან) დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ კენჭისყრაზე დასვა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2019 წლის 17 ოქტომბრის **№12-031929093-03 წერილით** წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 1 წინადადება - №01192692998-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 2

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

დადებითად შეფასდეს და რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2019 წლის 17 ოქტომბრის **№12-031929093-03 წერილით** წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 1 წინადადება - №01192692998-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეოთხე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2019 წლის 1-ლი ნოემბრის №12-03193056 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის მეოთხე საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა გ. ებანოიძემ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 11 სექტემბრის №19.958.1253 განკარგულების საფუძველზე, 2019 წლის 13 სექტემბრის №12-03192561-03 წერილით წარმოდგენილი იქნა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 11 სექტემბრის №19.958.1253 განკარგულების პრეამბულის პირველი აბზაცის „ა“ ქვეპუნქტში, ასევე, პრეამბულის მეორე აბზაცის „ა“ ქვეპუნქტსა და განკარგულების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გამო, 2019 წლის 13 სექტემბრის კომისიის სხდომაზე (ოქმი №49) მიღებული გადაწყვეტილებით გადადებული იქნა 2019 წლის 27 აგვისტოს №01192391875-67 განაცხადით წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, გ. ჭყონდიდელის ქუჩა №22-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.12.12.024.195, №01.12.12.024.196) განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად (ცვლილების ფართობი: 9 510 კვ.მ.) ფუნქციური ზონის ცვლილების“ საკითხი.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დადგენილების პროექტის მოწონების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 11 სექტემბრის №19.958.1253 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 29 ოქტომბრის №19.1129.1427 განკარგულებით გასწორებულ იქნა ხარვეზი.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, განსახილველ საკითხთან (განაცხადთან) დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ კენჭისყრაზე დასვა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2019 წლის 1-ლი ნოემბრის №12-03193056-03 წერილით წარმოდგენილი, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15

მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 1 წინადადება - №01192391875-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 2

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

დადებითად შეფასდეს და რეკომენდაცია გაეწიოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2019 წლის 1-ლი ნოემბრის №12-03193056-03 წერილით წარმოდგენილი, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 1 წინადადება - №01192391875-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეხუთე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2019 წლის 5 ნოემბრის №12-031930918 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის მეხუთე საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა გ. ებანოიძემ.

მომხსენებლის (გ. ებანოიძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული (მათ შორის, ტექნიკური ხარვეზებით გამოწვეული) ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 23 ოქტომბრის №19.1111.1417 განკარგულებით და დადგენილების პროექტის თანდართული

„მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ“ საინფორმაციო მასალის (პროექტის), ასევე, განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 5 წინადადება - №19/01192631853-67, №19/01192882403-67, №01192771557-67, №01192822198-67, №01192683137-67).

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „1“ პუნქტი) - **№19/01192631853-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, ქოშიგორას ქ. №6-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.72.14.006.687) ნაწილზე მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული - არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ცვლილება. საპროექტო ტერიტორიაზე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილების პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული გრაფიკული რუკის მიხედვით, ვრცელდება (საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2). ამასთანავე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური თანახმაა განხორციელდეს ფუნქციური ზონის ცვლილება, რაც დასტურდება 2019 წლის 16 ოქტომბრის №18-01192892403 წერილით. აღნიშნულიდან გამომდინარე, გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ცვლილებით გასწორდება არსებული ხარვეზი და შესაბამისობაში მოვა არსებულ (ფაქტობრივ) მდგომარეობასთან.

აზრი გამოთქვა:

ბატონმა ერეკლე კუხიანიძემ, გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის გასწორება მისაღებია ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების (ხე-ნარგავების) მაქსიმალური შენარჩუნების პირობით.

- განმარტებითი ბარათის „ბ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „2“ პუნქტი) - **№19/01192882403-67 განაცხადით** ქალაქ თბილისში, ბ. ხმელნიცკის ქ. №59-ის მიმდებარედ (ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდ. მტკვარს შორის) არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.17.14.001.248) მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული - არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ცვლილება. ვინაიდან, საპროექტო ტერიტორიაზე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილების პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული გრაფიკული რუკის მიხედვით, ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6). ასევე, წარმოდგენილი მიწის ნაკვეთის ძირითად ნაწილზე არ ფიქსირდება მწვანე ნარგავები. გარდა ამისა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ინიციატივით ქალაქ თბილისში, ბ. ხმელნიცკის ქ. №59-ის მიმდებარედ (ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდ. მტკვარს შორის) რეგისტრირებულ ერთეულებზე (საკადასტრო კოდი: №№01.17.14.003.517, 091.17.14.001.018,

01.17.14.001.230, 01.17.14.001.036, 01.17.14.001.298, 01.17.14.003.502, 01.17.14.001.400, 01.17.14.001.335, 01.17.14.001.141, 01.17.14.001.244, 01.17.14.003.516, 01.17.14.001.292, 01.17.14.001.331, 01.17.14.001.091, 01.17.14.003.516, 01.17.14.001.274, 01.17.14.003.534, 01.17.14.003.525, 01.17.14.001.291, 01.17.14.001.300) ხორციელდება გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული - არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის ცვლილება, რადგან დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) არსებობა წარმოადგენს მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის თანდართული რუკის ხარვეზს. რეალურად, სარეკრეაციო ზონა ვრცელდება საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე და მათზე არსებულ შენობა-ნაგებობებზე და საავტომობილო გზაზე, რომლებზეც ფუნქციური ზონით გავრცელებულია საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6), სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1). აღნიშნულიდან გამომდინარე, გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ცვლილებით გასწორდება ხარვეზი და არსებულ (ფაქტობრივ) მდგომარეობასთან შესაბამისობაში მოყვანა.

- განმარტებითი ბარათის „გ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „3“ პუნქტი) - **№01192771557-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში, თრიალეთის ქუჩა №75-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №81.02.15.757) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება. დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) არსებობა წარმოადგენს მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის თანდართული რუკის ხარვეზს. რეალურად, სატრანსპორტო ზონა გადასულია (შეჭრილია) საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე. შესაბამისად, ფუნქციური ზონის ცვლილებით გასწორდება არსებული ხარვეზი. ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახური თანახმაა, განხორციელდეს ფუნქციური ზონის ცვლილება, რაც დასტურდება 2019 წლის 16 ოქტომბრის №0119289361 წერილით. გარდა ზემოაღნიშნულისა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული საქალაქო სამსახურის ინიციატივით ზონის ცვლილებამ მოიცვა არსებული საავტომობილო გზის ლოგიკური კონტურის შეკვრა. შესაბამისად, ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში, თრიალეთის ქუჩა №75-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №81.02.15.757) სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1), ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ინიციატივით ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში, თრიალეთის ქუჩა №75-ში არსებულ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №81.02.15.757) მიმდებარედ დაურეგისტრირებელ მიწის ნაკვეთის ნაწილზე საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მიზანშეწონილია.

- განმარტებითი ბარათის „დ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „4“ პუნქტი) - **№01192822198-67 განაცხადით,** ქალაქ თბილიში, დიდი დიღმის დასახლებაში, ველოტრეკის მიმდებარედ და ქალაქ თბილისში, გიორგი ბრწყინვალის ქუჩა, №56-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.10.06.001.249, 01.10.06.001.248; ცვლილების ფართობი: 21 345 კვ.მ.) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. აღნიშნულ საკადასტრო ერთეულებზე „ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიდი დიღმის დასახლებაში, ველოტრეკის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: №01.10.06.001.217, №01.10.06.001.216) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ივნისის №206 განკარგულება ადგენს ფუნქციურ ზონებს და მისი განვითარების სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას, ამავე განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, წარმოდგენილ საკადასტრო ერთეულებზე (ს/კ: №01.10.06.001.249, №01.10.06.001.248, ცვლილების ფართობი: 21345 კვ.მ.) ფუნქციური ზონის ცვლილება მიზანშეწონილია.

- განმარტებითი ბარათის „ე“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „5“ პუნქტი) - **№01192683137-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, გორგასლის ქუჩა №61-ში (ნაკვ: 5/34) არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.18.06.005.034) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. აღნიშნულ საკადასტრო ერთეულზე „ქ. თბილისში, ქუჩა გორგასალი, №61-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.18.06.005.034; ნაკვეთი 5/34) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 13 სექტემბრის №294 განკარგულება ადგენს ფუნქციურ ზონებს და მისი განვითარების სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას. ამავე განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, წარმოდგენილ საკადასტრო ერთეულზე (საკადასტრო კოდი: №01.18.06.005.034; ნაკვეთი 5/34) ფუნქციური ზონის ცვლილება მიზანშეწონილია.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, განსახილველ საკითხთან (განაცხადთან) დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ კენჭისყრაზე დასვა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2019 წლის 5 ნოემბრის **№12-031930918-03 წერილით** წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 5 წინადადება - №19/01192631853-67, №19/01192882403-67, №01192771557-67, №01192822198-67,

№01192683137-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანის საკითხს კომისიაზე გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 2

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

დადებითად შეფასდეს და რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2019 წლის 5 ნოემბრის **№12-031930918-03 წერილით** წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 5 წინადადება - №19/01192631853-67, №19/01192882403-67, №01192771557-67, №01192822198-67, №01192683137-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას კომისიაზე გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით.

მოისმინეს დღის წესრიგის მეექვსე (მიმდინარე) საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2019 წლის 7 ნოემბრის №12-031931140)

სხდომის დღის წესრიგის მეექვსე (მიმდინარე) საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა გ. ებანოიძემ.

მომხსენებლის (გ. ებანოიძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული (მათ

შორის, ტექნიკური ხარვეზებით გამოწვეული) ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 29 ოქტომბრის №19.1130.1426 განკარგულებით და დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ" საინფორმაციო მასალის (პროექტის), ასევე, განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 3 წინადადება - №01192742007-67, №01192831063-67, №17-01192683122-67).

- განმარტებითი ბარათის „ა" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „1" პუნქტი) - **№01192742007-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, შოთა ნიშნიანიძის ქუჩა №30ა, შოთა ნიშნიანიძის ქუჩა №36-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.18.03.017.058) ნაწილზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება, ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) კორექტირება და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2) გავრცელება. სატრანსპორტო ზონა და გამწვანებული ტერიტორიების რუკით - რეკრეაციული ზონა გადასულია (შეჭრილია) საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობებზე (გალავანზე). ფუნქციური ზონის ცვლილებით გასწორდება არსებული ხარვეზი და შესაბამისობაში მოვა ფაქტობრივ (რეალურ) მდგომარეობასთან (სრული ცვლილების ფართობი: 26 კვ.მ.) აღნიშნულს ადასტურებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური 2019 წლის 16 ოქტომბრის №01192772924 წერილით.

- განმარტებითი ბარათის „ბ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „2" პუნქტი) - **№01192831063-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩა №134-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.21.002.395) ნაწილზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება (ცვლილების ფართობი: 349 კვ.მ.). წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) არსებობა წარმოადგენს მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის თანდართული რუკის ხარვეზს. რეალურად, სატრანსპორტო ზონა გადასულია (შეჭრილია) საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე. შესაბამისად, ფუნქციური ზონის ცვლილებით, არსებული ხარვეზი გასწორდება და შესაბამისობაში მოვა ფაქტობრივ (არსებულ) მდგომარეობასთან. აღნიშნულს ადასტურებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახური 2019 წლის 6 აგვისტოს №0119218504 წერილით. ამასთანავე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ინიციატივით, ხორციელდება ფუნქციური ზონის ცვლილება სატრანსპორტო ზონის რეალურ საგზაო ნაწილზე, რის გამოც, ქალაქ თბილისში, გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩა №134-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი:

№01.19.21.002.395) ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილებასთან ერთად დღის წესრიგში დადგა ქალაქ თბილისში, კაიროს ქ. №38-ს ნაწილზე (საკადასტრო კოდი: №01.19.21.002.384) სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) სატრანსპორტო ზონა 1-იით (ტზ-1) ცვლილების საჭიროება.

- განმარტებითი ბარათის „გ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „3" პუნქტი) - **№17-01192683122-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, ცოტნე დადიანის ქუჩა №25-ის მიმდებარედ რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.16.02.020.016) მოთხოვნილია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2) რეკრეაციული ზონით ცვლილება (ცვლილების ფართობი: 211 კვ.მ.). აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე, არსებული მდგომარეობით, ფიქსირდება ხე-ნარგავები. ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის სარეკრეაციო ზონით ცვლილების წინააღმდეგი არ არის, რაც დასტურდება 2019 წლის 27 სექტემბრის №18-01182702268 წერილით.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, განსახილველ საკითხთან (განაცხადთან) დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ კენჭისყრაზე დასვა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2019 წლის 7 ნოემბრის **№12-031931140-03 წერილით** წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 3 წინადადება - №01192742007-67, №01192831063-67, №17-01192683122-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 2

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

დადებითად შეფასდეს და რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2019 წლის 7 ნოემბრის **№12-031931140-03**

წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 3 წინადადება - №01192742007-67, №01192831063-67, №17-01192683122-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: ერეკლე კუხიანიძე